

**ვენტილაციისა და კონდიციონირების სისტემის მემონტაჟე 040675  
პროფესიული სტანდარტი**

**I. სფეროს აღწერა:**

ვენტილაციისა და კონდიციონირების სისტემები თავისი დანიშნულების მიხედვით იყოფიან კომფორტულ და ტექნოლოგიურ სისტემებად. ამ სისტემებმა უნდა უზრუნველყონ ჰაერის პარამეტრები სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების მოთხოვნების მიხედვით. ეს სისტემები წარმოადგენს საინჟინრო მოწყობილობას, რომელიც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს როგორც საწარმოთა გამართულ და უსაფრთხო ფუნქციონირებას, ასევე მნიშვნელოვანია ადამიანთა ჯანმრთელობისა და სრულფასოვანი ცხოვრებისათვის. ვენტილაცია წარმოადგენს ღონისძიებების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს ჰაერცვლის საჭირო რაოდენობას საყოფაცხოვრებო, საზოგადოებრივ და სამრეწველო დანიშნულების შენობებში. ჰაერის კონდიციონირება ტექნიკური საშუალებების კომპლექსია, რომელიც უზრუნველყოფს მოცემული პარამეტრების ჰაერის მოწოდებას და შენარჩუნებას შენობაში შიდა და გარე ფაქტორების ცვლილებების მიუხედავად. თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების განვითარებამ გაზარდა მოთხოვნა ვენტილაციისა და კონდიციონირების სისტემების მონტაჟის, რემონტისა და ექსპლუატაციის სპეციალისტზე.

**II. დასაქმების სფერო**

ვენტილაციისა და კონდიციონირების სისტემის მემონტაჟე შეიძლება დასაქმდეს:

- ა) სამშენებლო კომპანიებში, შეასრულოს ვენტილაციის და კონდიციონირების სისტემების თბოსაიზოლაციო სამუშაოები კერძო კომპანიებისა და სახელმწიფო ორგანიზაციების დაკვეთით, ასევე თბოსაიზოლაციო მასალების სარეალიზაციო ობიექტებში – კონსულტანტად;
- ბ) სამშენებლო კომპანიებში, შეასრულოს ვენტილაციისა და კონდიციონირების სისტემის მონტაჟი კერძო კომპანიებისა და სახელმწიფო ორგანიზაციების დაკვეთით. ორგანიზაციებისათვის ვენტილაციისა და კონდიციონირების სისტემების გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელი პირი.
- გ) სამშენებლო კომპანიებში, შეასრულოს ვენტილაციისა და კონდიციონირების სისტემის მონტაჟი კერძო კომპანიებისა და სახელმწიფო ორგანიზაციების დაკვეთით.
- დ) ვენტილაციისა და კონდიციონირების აპარატურის სარეალიზაციო ობიექტებში.

**III. დამატებითი მოთხოვნები**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლის უნდა ჰქონდეს პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

**IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია**

ვენტილაციისა და კონდიციონირების სისტემის მემონტაჟის განათლება არის ერთსაფეხურიანი (III) და ამ საფეხურისათვის შემუშავებულია შესაბამისი პროფესიული პროგრამა, რომლის დასრულების შემდეგ სტუდენტს ენიჭება შესაბამისი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია და გაიცემა პროფესიული დიპლომი.

ვენტილაციისა და კონდიციონირების სისტემის მონტაჟის ხელოსანის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 30 კრედიტს, რომლის მინიმუმ 40% ეთმობა პრაქტიკას. ენიჭება ვენტილაციისა და კონდიციონირების სისტემის მემონტაჟის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.

**V. ვენტილაციისა და კონდიციონირების სისტემის მემონტაჟის კვალიფიკაციათა აღმწერი**

ვენტილაციისა და კონდიციონერების სისტემის მემონტაჟის მესამე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p>აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულელებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს</p>	<p>იცის სფეროსათვის დამახასიათებელი ვენტილაციისა და კონდიციონერების სისტემების თბოტექნიკის საფუძვლები, ვენტილაციისა და კონდიციონერების სისტემების კლასიფიკაციის, ვენტილაციისა და კონდიციონერების სისტემების დახასიათების პრინციპული სქემები; ვენტილაციისა და კონდიციონერების სისტემების ხელსაწყოების შერჩევა და მათი განლაგება სათავსოში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების და თბური კომფორტის გათვალისწინებით. იცის ვენტილაციისა და კონდიციონერების ხელსაწყოების ჰაერსატარებთან მიერთების ძირითადი სქემები; ჰაერსატარების განლაგება შენობებში; ღია და დაფარული გაყვანის წესები, ტექნიკურ ჰიგიენური და არქიტექტურულ-გეგმარებითი მოთხოვნები ჰაერსატარების გაყვანისას. აცნობიერებს ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს .</p>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p>შეუძლია გამოიყენოს დარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი უნარების ფართო სპექტრი, შეაფასოს დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომები, შეარჩიოს და მიუსადაგოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.</p>	<p>შეუძლია ვენტილაციისა და კონდიციონერების სისტემების პრინციპული სქემების გამოყენება. შეუძლია ვენტილაციისა და კონდიციონერების ჰაერსატარების და აპარატურის მონტაჟისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მიდგომების გათვალისწინება; მიწოდებული სამუშაო ნახაზების წაკითხვა და მათ საფუძველზე ხელმძღვანელის მითითებით მონტაჟის განხორციელება; სამუშაოს დაგეგმვა და პირველი და მეორე რიგის სამუშაოების განსაზღვრა; ვენტილაციისა და კონდიციონერების სისტემების მონტაჟის შესასრულებლად მიცემული დავალების შესრულებისათვის საჭირო დროის განსაზღვრა; მონტაჟისათვის საჭირო მასალებისა და ხელსაწყოების დამოუკიდებლად განსაზღვრა და გამოყენება.</p>
<p><b>დასკვნის უნარი</b></p>	<p>შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის ცნობილი წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.</p>	<p>შეუძლია ხელმძღვანელთან შეთანხმოს ვენტილაციისა და კონდიციონერების სისტემების მონტაჟის დროს წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტისათვის საკუთარი მოსაზრებები, თვითონ მოახდინოს საჭირო ხელსაწყოებისა და იარაღების შერჩევა. შეუძლია შეამჩნიოს მონტაჟის ხარვეზები და უზუსტობები და დამოუკიდებლად შეძლოს მათი გამოსწორება. შეუძლია პრობლემის გადაწყვეტის გზების შესახებ დაამყაროს კომუნიკაცია გამოცდილ კოლეგებთან, დეტალურად აუხსნას პრობლემის არსი, მოისმინოს, გაიგოს, შეაფასოს და გაანალიზოს საჭირო ინფორმაცია.</p>
<p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>	<p>შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე განსხვავებულ სიტუაციებში. ეფექტიანად იყენებს პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; შეუძლია უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება.</p>	<p>შეუძლია ქართულ ენაზე ზეპირი და წერილობითი ურთიერთობა ვენტილაციისა და კონდიციონერების სისტემების მონტაჟთან დაკავშირებულ საკითხებზე; სპეციფიკაციების, სამუშაო კონტრაქტის, სამუშაოსთან დაკავშირებული განმატებების და აღწერილობების წაკითხვა და გააზრება. შეუძლია ხელმძღვანელობას წარუდგინოს მუშაობის პერიოდში წამოჭრილი პრობლემების დეტალური აღწერა; დამოუკიდებლად მოიძიოს პროფესიული ლიტერატურა, და</p>

		<p>იპოვოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია. შეუძლია მოპოვებული ინფორმაციის სხვებისთვის გადაცემა. იყენებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს პროფესიული თვალსაზრისით. შეუძლია ინფორმაციის მოძიება პროფესიული ლიტერატურიდან და ინტერნეტიდან. შეუძლია კომუნიკაცია უცხოურ ენაზე და აქვს ვენტილაციასა და კონდიციონერებში გამოყენებული ტექნიკური ტერმინოლოგიის ცოდნა. შეუძლია უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენება.</p>
<b>სწავლის უნარი</b>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>	<p>შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.</p>
<b>ღირებულებები</b>	<p>განსხვავებულ სიტუაციებში მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად.</p>	<p>საფუძვლიანად იცნობს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებს. ყურადღებას იჩენს სამონტაჟო მასალების ეკონომიურად გამოყენებასა და ენერგოდაზოგვაზე. უფრთხილდება შრომის ინსტრუმენტებს, და იცავს სპეციალობასთან დაკავშირებულ უსაფრთხოების წესებს. ეხმარება სხვებს. აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა შესრულებული სამუშაოზე. არის კეთილსინდისიერი და კომუნიკაბელური.</p>